„გადადგი ნაბიჯი ევროპისაკენ“

ალიონი. 10 ივნისს, ინიციატივის „გადადი ნაბიჯი ევროპისკენ“ ფარგლებში ქ. ოზურგეთში მორიგი შეხვედრა გაიმართა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ბიბლიოთეკაში.

შეხვედრის სპიკერები იყვნენ: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი **ნინო დოლიძე;** უსაფრთხოების ექსპერტი **სათუნა ლაგაზიძე;** მასწავლებლების ეროვნული ჯილდოს პირველი მფლობელი, სოფელ ჩიბათის სკოლის პედაგოგი **ლადო აფხაზავა;** სამოქალაქო აქტივისტი **ირმა გორდელაძე.**

მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს საქართველოს პერსპექტივაზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობაზე.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართება და დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაესვა კითხვები და გამოეთქვა თავისი აზრი საინტერესო თემებთან დაკავშირებით.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 15 (10427) 13 ივნისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

ლანჩხუთში მულტიპროფილური კოლეჯის მშენებლობა მიმდინარეობს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კოლეჯის მშენებლობა მიმდინარეობს.

კოლეჯი მულტიპროფილური იქნება, სადაც პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პროფესიების დაუფლებას.

კოლეჯი 2022-2023 სასწავლო წლისთვის უკვე შეძლებს სტუდენტების მიღებას პროფესიულ პროგრამებზე. კოლეჯის ბაზაზე იგეგმება მოკლევადიანი და ინტეგრირებული პროგრამების განხორციელება ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი დარგების მიმართულებით.

150 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი ოზურგეთის კოლეჯ „ჰორიზონტის“ სასწავლო ბაზა იქნება.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ დაათვალიერეს.

სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

ოზურგეთში დასაქმების ფორუმი გაიმართა

ალიონი. 8 ივნისს, ქ. ოზურგეთში დასაქმების ფორუმი ჩატარდა. მისი მიზანი იყო ახალგაზრდებისათვის, იძულებით გადაადგილებული, სამუშაო გამოცდილების არმქონე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმ-უშევარი პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისა ხელშეწყობა.

დასაქმების ფორუმი გახსნა პროექტის დირექტორმა, ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტის (ICI) დამფუძნებელმა **თამარ ღლონტმა.**

დასაქმების მსურველებს მოესალმნენ: ოზურგეთის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDES) გამგეობის თავმჯდომარე **ლიკა კილაძე,** დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (SESA) ხელმძღვანელი **ნინო ველთაური,** პროექტის ხელმძღვანელი, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) წარომამდგენელი **თეონა ლებანიძე.**

დილიდან ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის წინ მიმდინარეობდა დასაქმების მსურველთა რეგისტრაცია, რომლის შემდეგი ეტაპი იყო დასაქმების მსურველთა გასაუბრება უშუალოდ დამსაქმებლებთან.

დასაქმებლები კი იყვნენ ისეთი ცნობილი ორგანიზაციები, როგორიცაა „ლიბერთი ბანკი,“ „თი ბი სი ბანკი,“ „კრედო ბანკი,“ კომპანია „სანდომი“, ჯინსების სამკერვალო საწარმო, შპს „გზამშენი 18,“ ანასეულის ჩაის ფაბრიკა, ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობა, მაღაზია „ლიბრე,“ „ჯიბე“ და სხვები. სულ ფორუმზე 30-მდე მცირე და საშუალო კომპანიებმა წარმოადგინეს ვაკანსიები.

მაღალანაზღაურებადი სხვადასხვა სახის ვაკანსიები წარმოადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტრის სპეციალურმა პენიტენციალურმა სამსახურმა.

– 2022 წლის ბოლოს დაბა ლაითურში იხსნება სპეციალური პენიტენციალური დაწესებულება, რომელიც იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე ინფრსტრუქტურით აღჭურვილი დაწესებულება, სადაც გვაქვს ვაკანსიები: უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორები, ინსპექტორ-კონტროლიორები, ფსიქოლოგი, ექსკორტის ოფიცერი და ა.შ.– გვითხრეს პენიტენციალური დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

კომპანია „სანდომის“ წარმომადგენლები ჩვენი იქ ყოფნისას მათთან დასაქმების მსურველებს მაია ქავთარაძეს და ვლადიმერ შაინიძეს გაესაუბრნენ. მათ შესაბამისად დიასახლისი-კონსულტანტის და კონსულტანტის ვაკანსიები შესთავაზეს. ჩვენ ანაზღაურების თემით დავინტერესდით:

*–მათი თვიური ანაზღაურება 600-ლარიდან 800 ლარამდე იქნება–*გვითხრეს კომპანიის წარმომადგენლებმა.

„ლიბერთი ბანკს“ მოლარე-ოპერატორის და კონსულტანტის ვაკანსიები ჰქონდა წარმოდგენილი. აქ დასაქმებულთა ანაზღაურება შესაბამისად 650 და 320 ლარი იქნება. მას ბონუსებიც ემატება –ამის შესახებ ინფორმაცია დასახელებული ბანკის რეგიონალური დირექტორის მოადგილე **გურამ სალიამ** მოგვაწოდა.

„თი ბი სი“ ბანკის ოზურგეთის ფილიალის მმართველმა **რომან რომანაძემ** სოფელ შრომაში მცხოვრებ **ლია არობელიძეს** მოლარე-ოპერატორის თანამდებობა შესთავაზა. ჩვენ თავად ბენეფიციარს გავესაუბრეთ:

*– საშუალო განათლებით ვარ. გარკვეული სამუშაო გამოცდილება მაქვს. მეულლე კომპანია „ასკანგელ ალიანსში“ მუშაობს ცვლის უფროსად და ყოველდღიურად დადის ავტომანქანით. ჩემი ოზურგეთში ჩამოსვლა დამატებით ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული. მოლარე-ოპერატორის ხელფასი (ხელზე მისაღები) 320 ლარია, რაც ჩემთვის მისაღებია –*გვითხრა მან.

რამდენიმე ადამიანი „გზამშენი 18“-ში დასაქმებით დაინტერესდა. მათ შორის სოფელ აკეთის მცხოვრები შალვა მურმანიძეც იყო.თემურ ჯახვამ მათ კომპანიაში მუშაობის და ანაზღაურების პირობები გააცნო და გარკვეულ შეთანხმებაც დაიდო.

– რამდენიმე ვაკანსია გვაქვს. უპირველესი აგრონომია-რომელიც სოფლის მეურნეობის ღერძს წარმოადგენს. აგრონომებს კი

გვ–2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთში დასაქმების ფორუმი გაიმართა

უშვებს აგრარული უნივერსიტეტი, მაგრამ ახალგაზრდების დედაქალაქში დარჩენას არჩევენ და იქ ეძებენ სამუშაოს. ძალიან მჭირდება სამაცივრე მეურნეობის ტექნიკოსიც – გვითხრა **გია ხუჭუამ.**

ჩვენი ყურადღება ოზურგეთის ჯინსების სამკერვალოს ფაბრიკის წარმომადგენლებთან გასუბრებაზე მისულმა ახალგაზრდა ქალბატონმა მიიქცია. იგი დეტალურად ეცნობოდა სამუშაო პირობებს. მას მკერავის თანაშემწის ვაკანსია შესთავაზეს.

– ოზურგეთის სამხატვრო სკოლა დავამთავრე. მირანდა ვანიძის კლასში ვსწავლობდი. შემდეგ კი – სამხატვრო აკადემია მინანქრის სპეციალობით და 7 წელი ვიმუშავე თბილისში ჩემი სპეციალობის მიხედვით. პანდემიის გამო მშობლიურ ოზურგეთში ჩამოსვლა მომიწია, შვილთან ერთად. გადავწყვიტე აქ დავიწყო მუშაობა. ჯინსების სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენლებმა მკერავის თანაშემწის ადგილი შემთავაზეს. ხელზე ასაღები ხელფასი 500 ლარს შეადგენს. ჯერ არ გადამიწყვეტია – გვითხრა **სალომე გაბედავამ.**

დასაქმების მსურველი შშმ პირი თამუნა ლურსმანაშვილი იყო.

–სამწუხაროდ შშმ პირებისთვის ვაკანსია არც ერთ კომპანის არ წარმოუდგენია – გვითხრა **თამუნა ლურსმანაშვილმა.**

დღეს კომპანიები ათეულობით დასაქმების მსურველებს გაესაუბრნენ. მათგან ნაწილმა შეთანხმებას მიაღწია.

რაც თვალში საცემი იყო, დამსაქმებლები ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც როგორც ერთ-ერთმა დარგის სპეციალისტმა გვითხრა, ძლიერ კონკურენციაში არიან პრივილეგირებულ დიდი ბიზნესის წარმომადგენლებთან. გასათვალისწინებელია, რომ დღგ-ს გადასახადით არც დიდი სავაჭრო ქსელის წარმომადგენლები იბეგრებიან, რადგან მათი მეპატრონეებისაგან ჩადებული თანხა ინვესტიციად ითვლება... ასეთი უსამართლო დამოკიდებულებით კი მცირე და საშუალო ბიზნესი იჩაგრება, რაც საბოლოოდ დასაქმებულთა ხელფასებში აისახება.

ეს ცალკე სამსჯელო თემაა, მაგრამ რაც მნიშვნელოვანია, დღეს არაერთი ადამიანი დასაქმდა.

დასაქმების ფორუმის მეორე ნაწილი კონფერენციას დაეთმო, სადაც სექტორთა შორის თანამშრომლობის როლზე, დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესების მიმართულებით კარგი პრაქტიკები გაუზიარეს ერთმანეთს.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (ICI), პროექტი „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის/SECTORs“; განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) პროექტი „სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის!) LEARN“; საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) პროექტი „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება/ LINKS“; დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ რაინდი დუმბაძეს 50 ლარიანი ჯარიმა დააკისრა

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ოზურგეთის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს დაბა ლაითურსა და ნარუჯაში„ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს **რაინდი დუმბა-ძეს** 50 ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

დავით მჟავანაძეს მიმართ კი ადმინისტრაციული წარმოება შეწყ-და.

ოპოზიციას ოზურგეთის მერიამ მშვიდობიანი აქცია პერფორმანსის გამო უჩივლა, რომელიც მათ გასულ კვირას გამართეს და ქალაქში სტიკერები გააკრეს.

ოპოზიციის თქმით მათ ერთგ-ვარი საინფორმაციო კამპანია გამართეს და მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს 11 მილიონიანი გრანტის თაობაზე, რომელსაც ოზურგეთმა ევროკავშირისგან მიიღო, მათივე თქმით, ხელისუფლება ამას მოსახლეობას შეგნებულად უმალავს და მმართველი პარტიის მხარდამჭერები მადლობას ოზურგეთის მერსა და პრემიერ მინისტრს უხდიან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გეგმავენ სასამართლოს 7 ივნისის გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივროს.

ოზურგეთში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან ავთანდილ თალაკვაძესთან ერთად მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

„ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს გზების, ხიდების და წყლის სისტემების მშენებლობა. დაბა ურეკში დასრულდა ბულვარის კეთილმოწყობა. აღნიშნული პროექტები ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება,“– განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს: • სოფელ ლიხაურის წყლის სისტემის მოწყობა – პროექტის ღირებულება – 493 869.ლარი. პროექტი ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.;•

სოფელ სილაურში, მდ.რობაზე ხიდის სამშენებლო სამუშაოები – პროექტის ღირებულება – 428 342.77 ლარი – პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.;

• სოფელი დვაბზუში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები – პროექტის ღირებულება – 590 467 ლარი – პროექტი ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.;

• ქალაქ ოზურგეთში, ანასეულში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - პროექტის ღირებულება – 969 872.98 ლარი — პროექტი ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.;

დასრულდა: • სოფელ ვაკიჯვარში, მდ. ნატანებზე ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები – პროექტის ღირებულება – 1 010 052.41 ლარი პროექტი დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.;

• დაბა ურეკში, ბულვარის მშენებლობა – პროექტის ღირებულება – 3 176 919 ლარი – პროექტი დაფინანსდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებსა და მგზავრებს აფრთხილებს

რიკოთის საულელტეხილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ხევი-უბისას მონაკვეთზე ჩამოსული მიწის მასისგან გზა გაწმენდილია და საავტომობილო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ბეტონის ბლოკებისგან გზის დამცავი კედელია მოწყობილი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებსა და მგზავრებს აფრთხილებს, რომ **რიკოთის გვირაბში, ტურისტული სეზონის დადგომასთან დაკავშირებით პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით, 12,13,14,15 და 16 ივლისს 00:00-დან 08:00 საათამდე, ყოველ დღე აკრძალული იქნება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში გვირაბში მოძრაობა თავისუფალია იქნება.** საავტომობილო გვირაბის ჩაკეტვის დროს, ავტოტრანსპორტის მოძრაობა გადაერთვება რიკოთის გვირაბის შემოსავლელ საავტომობილო გზაზე.



დაზარალებულს დახმარება აღუთქვეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილთან** ერთად ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში იური გოგუაძის ოჯახს სტუმრობდა და ადგილზე გაეცნო არსებულ მდგომარეობას.

იური გოგუაძის საცხოვრებელი სახლი მეწყრის შედეგად დაზიანებულია და მესაკუთრე დახმარებას ითხოვს.

ოჯახის უფროსის თქმით, - ადგილზე უკვე იმყოფებოდნენ გეოლოგები და ოჯახი დასკვნის მოლოდინშია.

საკრებულოს თავმჯდომარემ შესაძლებლობის ფარგლებში დაზარალებულს დახმარება აღუთქვა

მესაქონლეებს სწრაფი ტემპით მოუწევთ პირუტყვის საგაზაფხულო იალაღებზე გადაყვანა

ალიონი. 10 ივნისიდან, ოზურგეთელ, ქობულეთელ და სხვა მუნიციპალიტეტის მწყემსებს საშუალება აქვთ, საზაფხულო იალაღებზე ნახირის გადასარეკად, 3 დღის განმავლობაში, ბჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზით ისარგებლონ.

კურორტ გომისმთის მიმდებარე იალაღებით ძირითადად შუახეველი, ქობულეთელი და ოზურგეთელი მესაქონლეები სარგებლობენ.

წინა წლებში, ზაფხულის დასაწყისითვის აჭარა-გურიის მთების საზაფხულო იალაღებზე მწყემსებს საქონელიც ჰყავდათ აყვანილი და კარტოფილი და სხვა კულტურები დათესილი.

წლევანდელმა დიდმა ზამთარმა პრობლემები შეუქმნა მესაქონლეებს. დიდი თოვლის გამო მათ ვერ მოახერხეს მთაში დროული ასვლა.

შუახეველებმა რამდენიმე დღის წინ გაწმინდეს თოვლისაგან საზაფხულო იალაღებამდე მისასვლელი გზები. სამუშაოებს უშუალოდ აკვირდებოდნენ როგორც შუახევის მუნიციპალიტეტის თავკაცები, ისე საქართველოს პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები.

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამუშაოები უკვე დაასრულა და როგორც ჭვანას ხეობიდან გვაცნობეს, მათი პირუტყვი უკვე გაემართა მთისკენ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ოზურგეთი-ბჟუჟესი-გომისმთის მონაკვეთზე?

ბჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია **New Road** ახორციელებს.

სამუშაოები შარშან დაიწყო და მსუბუქი და სხვა ავტომანქანებით გადაადგილება შეზღუდული იყო 15 ივნისიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.

მშენებლებმა შარშან მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს, მაგრამ იგი გარდამავალია და წელსაც გაგრძელდება. დიდმა თოვლმა ზიანი მიაყენა საგზაო ნაგებობებს.

–ძალიან საშიში მდგომარეობაა, ზამთარში მეწყერი რამდენიმე ადგილას ჩამოწვა, ახლა არსებულ პროექტში ცვლილებები შედის და მეგზევეებს დამატებითი სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი. უნდა ჩაისხას 6.000 კუბური მეტრი დამცავი კედლები, მოეწყოს დამატებითი სხვა დამცავი ნაგებობები –გვითხრა რამდენიმე დღის წინ შპს „გზამშენი 18-ის“ უფროსმა **თემურ ჯახვამ.**

ორი დღის წინ კი გაზეთ „ალიონის“ რედაქციას ნაცნობი მწყემსები დაუკავშირდნენ მოლიან-ჩალიანიდან და თავიანთი გასაჭირი გაგვაცნეს.

–დიდთოვლობის გამო, წელს გომისმთის მიმდებარე იალაღებზე პირუტყვი გვიან უნდა გადავრეკოთ. არადა, ხვნა-თესვის პერიოდი იწურება და დაუთესავი დარჩება ათეულობით ჰექტარი საყანე ფართობები. უნდა დაგვეხმაროთ და გაგვიგოთ, გვექნება თუ არა საშუალება ბჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზით სარგებლობის...

ჩვენ კვლავ დავუკავშირდით შპს „გზამშენი 18“-ის უფროსს **თემურ ჯახვას:**

–ვესაუბრე მშენებერე კომპანია *New **Road-ის** დირექტორს დავით ჟღენტს, გავაანალიზეთ არსებული ვითარება, გავაცანით იგი სამხარეო ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ-ებს. დღეს დილიდან შპს „გზამ-შენი 18“–ის ტრაქტორი მუშაობს გზის დამეწყრილი მონაკვეთების გასაწმენდად. გამთენიისას მორჩებიან სამუშაოებს და ხვალ დილიდან (10 ივნისი), სამი დღის განმა-ვლობაში ოზურგეთელ და ქობულ-ეთელ, სხვა მუნიციპალიტეტების მწყემსებს საშუალება ექნებათ საზაფხულო იალაღებე გადარეკონ პირუტყვი* –გვითხრა თემურ ჯახვამ.

ჩვენ ცნობილ ფერმერს **ბესო ლომინაძეს** ვესაუბრეთ:

– შპს „გზამშენი 18“-ის უფროსი თემურ ჯახვა დაგვიკავშირდა და გვითხრა გზაზე გადაადგილების ვადების შესახებ. ჩალიან-მოლიანში, მიმდებარე ქობულეთის მუნიციპალიტის სოფლებში მეცხოველეობის ფერმებს ქობულეთის მუნიციპალიტის სოფლებში მეცხოველეობის ფერმებს შევატყობინეთ, რომ ხვალიდან გზა გაიხსნება – გვითხრა მან.

ცხენების რემა, ნახირი მთებისკენ დაიძვრა!

ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა

8 ივნისს, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ოზურგეთის ოფისში (მ. კოსტავას 25, ოზურგეთი) პროექტის მენეჯმენტისა და გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო, მრჩეველთა საბჭოს წევრებისთვის ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სკოპინგის ანგარიშისწარდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. კომპანიამ სკოპინგის ანგარიში გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 2 ივნისს წარადგინა.

კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნეს პროექტის ტექნიკურ პარამეტრები და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულება.

*„მნიშვნელოვანი სიახლე გავაცანით მრჩეველთა საბჭოს წევრებს დღეს. კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის, **CCEH**-ის პორტფელს ახალი პროექტი შეემატა ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სახით. საბჭოს ფორმატში არაერთხელ გაჟღერებულა, რომ მდინარე ბახვისწყლის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების არსებული პროექტები უმჯობესი იქნებოდა, ერთი კომპანიის ხელში ყოფილიყო, რადგან ამ შემთხვევაში, გატარდებოდა ერთიანი სტანდარტი როგორც მშენებლობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის ოპერირების ფაზაზე. სწორედ ამ და ასევე, ჩვენი უცხოელი ექსპერტების რჩევების შედეგად, განვახორციელეთ ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესყიდვა და ტექნიკური სქემის გაუმჯობესება. პროექტის სკოპინგის ანგარიში გასულ კვირას წარვადგინეთ გარემოს ეროვნულ სააგენტოში კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიმდინარე თვეში ველითანგარიშის საჯარო განხილვას“* – განაცხადა, ბახვი 2 ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ.**

ბახვი ჰესისგარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების საბჭოს სხდომას ესწრებოდა კომპანიის მიერ მოწვეული გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ფრანგი ექსპერტი, **პიერ ბიდერმანი.** ბატონი პიერ ბიდერმანი აქტიურად იყო ჩართული ბახვი 1-ის კვლევების პროცესში, მის მიერ შემუშავებული ანგარიშების მაღლი სტანდარტებისა და სანდოობის გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება მისი ჩართულობის შესახებ ბახვი 2-ის კვლევების პროცესშიც. მან კომპანიის დაკვეთით მოამზადა პროექტის მიკრო და მაკროკლიმატისა და კუმულაციური ზემოქმედების კვლევები და რეკომენდაციები. საბჭოს სხდომაზე ბატონი პიერ ბიდერმანი სწორედ ამ კვლევების შედეგების შესახებ გააკეთებს პრეზენტაციას.

მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე საინტერესო დისკუსია გაიმართა, მოხდა აზრთა გამოცვლა-გამოცვლა დაგეგმილი პროექტების გარშემო. საბჭოს წევრებმა საკუთარი რეკომენდაციები გაუზიარეს კომპანიის წარმომადგენლებს.

მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, კომპანიის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას საბჭოს ახალი წევრი, მეწარმე **ია ურუშაძე** წარუდგინეს, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ იქნა ნომინირებული საბჭოში. ქალბატონია 2011 წლიდან მუშაობს ორგანიზაციაში, რომელიც ახორციელებს ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის რეფორმებს. ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არის ორი მცირე საოჯახო სახლი და ერთი მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვთა დღის ცენტრი. ის ასევე, საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.მას აქვს გამოცდილება აგრომეწარმეობის კუთხითაც. ია ურუშაძეს აქვს თაფლის წარმოების საოჯახო მეურნეობა და ჩაის გზის ასოციაციაში კოორდინირებას უწევს სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებას.

შეგახსენებთ, ბახვი ჰესის გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭო კომპანიის ინიციატივით შექმნილი სათათბირო ორგანოა, რომლის მიზანიცაა, დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მეტი გამჭვირვალობა. საბჭო ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან ნომინირებული 12 დამოუკიდებელი წევრისაგან შედგება. საბჭოში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებულები, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ბიზნესი.

დაფინანსებული ფართი

შეხვედრა მთისპირის საჯარო სკოლაში

2022 წლის 7 ივნისს, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის (9,10,11,12 კლასები) კიდევ ერთი შეხვედრა დაიგეგმა. ამჯერად, კომპანიის მოწვევით, მთისპირის საჯარო სკოლას საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციისა (GRE-DA) და „საქართველოს ენერგეტიკული ბირ-ჟის“ ახალგაზრდა სპ-ეციალისტები სტუმრობდნენ. GREDA-ს წარმომადგენლებმა საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარება-გამოყენებასთან დაკავშირებით მომზადებული მასალები გააცნეს ახალგაზრდებს. ინიციატივა მიზნად ისახავს, ენერგეტიკისდარგის პოპულარიზაციას, სადაც ახალგაზრდა ადამიანს შეუძლია იპოვოს საკუთარი თავი, განვითარდეს პროფესიულად და ჰქონდეს წარმატებული კარიერა.

შეხვედრას უძღვებოდნენ GREDA-ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე **ირინა პეტრიაშვილი** და პროექტების მენეჯერი **მატა გორდეზიანი** ასევე „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ბაზრის ანალიტიკოსი **გუგა კუპრაძე.** სტუმრებმა უფროსკლასელებს გაუზიარეს ენერგეტიკის სექტორში მუშაობის გამოცდილება, რა გამოწვევები აქვთ მუშაობის პროცესში, რა დადებითი მხარე და პერსპექტივები აქვს ენერგეტიკოსის პროფესიის არჩევას და რა ფუნქცია-მოვალეობები გააჩნიათ ყოველდღიურ საქმიანობაში. შეხვედრა წარიმართა პრეზენტაციის და შემდეგ დისკუსიის ფორმატში.

„საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციისთვის“ ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა განახლებად ენერგიასთან დაკავშირებით მოსახლეობისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაა. წელს ჩვენმა ასოციაციამ საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი წამოიწყო, რომლის მიზანი საქართველოს მასშტაბით უფროსი კლასის მოსწავლეებში განახლებად ენერგიასთან და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაა. ამავდროულად, დღეს კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინა ახალგაზრდებში ენერგეტიკის დარგის პოპულარიზებამ და მათთვის დარგში არსებული კარიერული შესაძლებობების გაცნობამაც, რადგან ბაზარზე ახალგაზრდა სპეციალისტების მწვავე დეფიციტია. გვსურს მადლობა გადავუხადოთ ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განამახორციელებელ კომპანიას საჭირო და დროული ინიციატივის ფარგლებში მთისპირის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრის ორგანიზებისთვის. გურიის ჰიდროპოტენციალის ათვისებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ ადგილობრივ ახალგაზრდებში ენერგეტიკით დაინტერესებას, რათა მომავალში გურიის ელექტროსადგურებში მეტი ადგილობრივი სპეციალისტი დასაქმდეს“.

„GREDA ასოციაციაა, რომელიც განახლებადი ენერგიის მიმართულებით მუშაობას.მოხარულნი ვართ, რომ ასოციაციის დახმარებით,გვაქვს შესაძლებლობა მთისპირის სკოლის მოსწავლეებს სექტორში მომუშავე ექსპერტები გავაცნოთ. უნდა ითქვას, რომ დღეს ეს შეხვედრა შედგა და უფროსკლასელებმა უშუალოდ ამ დარგის ახალგაზრდა პროფესიონალებისგან შეიტყვეს ბევრი ახალი რამ ენერგეტიკაზე როგორც დარგზე და პროფესიულ არჩევანზე. ჩვენ, ჩვენის მხივ შეგვიძლია, და გაცხადებულიც გვაქვს ეს შესაძლებლობა, რომ ხელს შევუწყობთ და წავახალისებთ ახალგაზრდებს, თუკი საკუთარ მომავალს ენერგეტიკას დაუკავშირებენ“ – განაცხადა **დავით მიქელაძემ,** ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა.

დაფინანსებული ფართი

გლობალური კლიმატური ცვლილებები და საქართველო

კოვიდ ვირუსის პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შეშფოთება გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა ვარაუდობენ სასურსათო უსაფრთხოების საკითხების გამწვავებას .

ამ ფონზე კიდევ უფრო დამამძიმებელია გლობალური კლიმატური ცვლილებების ზემოქმედება პლანეტის მოსახლეობაზე. ექსპერტმკვლევარების აზრით უახლოეს 50 წლის მანძილზე მოსალოდნელია ცენტრალური აფრიკის ქვეყნების გაუდაბნოება, რომელიც გამოიწვევს ამ ქვეყნებში სურსათის მკვეთრ დეფიციტს, ასევე ვარაუდობენ ინდოეთისა და სამხრეთ ამერიკის რიგ ქვეყნებში გაუდაბნოების შედეგად მრავალი სამრეწველო კულტურების (ჩაი, ყავა) მკვეთრ შემცირებას. განა გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგი არაა ის პროცესები, რომელიც საქართველოში 2022 წლის მარტი-აპრილის თვეებში განვითარდა, დიდ თოვლიანობა, დაბალი ტემპერატურა, უხვნალექიანობა – მაშინ, როდესაც თებერვლის თვეში აყვავებული და გამონასკვული თესლოვანი და კურკოვანი კულტურები დაბალი ტემპერატურითა და წაყინვებით სერიოზულად დაზიანდნენ. ასევე შემთხვევითი არაა, როდესაც მაისის პირველ ნახევარში ინდოეთში 50 გრადუსამდე სიცხე დაფიქსირდა.

სამწუხაროდ ფაქტია, როდესაც კოვიდისა და ომების ფონზე მოსახლეობა გლობალური კლიმატური ცვლილებების ზემოქმედებას არაადეკვატურად აღიქვამს, არადა ექსპერტმკვლევარები გვაფრთხილებენ ამ გარდაუვალი მოვლენების საწინააღმდეგოდ სერიოზული სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს იწვევს ჩვენი გალაქტიკის შესვლა ექსტრემალური სინოპტიკური სიტუაციის ზონაში. ინგლისელი კლიმატოლოგის ჰიუბერტ ლემბის აზრით, თუ ტემპერატურის აწევის ტენდენცია შენარჩუნებული იქნება, მაშინ 2200 წლისათვის მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის აწევა 6 გრადუსით.

დადგენილია, რომ დედამიწამ 400 ათასი წლის განმავლობაში მრავალჯერ განიცადა დათბობა-გაციების პროცესი. უკვე 100 წელია, დედამიწაზე მიმდინარეობს უეცარი დათბობის ინტერგლაციალური პერიოდი.

ბუნებრივი პროცესებით გამოწვეულ გლობალურ პროცესებს ემატება ანთროპოგენური პროცესებით გამოწვეული სითბური ეფექტის გავლენა, რომელსაც იწვევს ატმოსფეროში სითბური ეფექტის გამომწვევი გაზების **CO2, CH4, N20, SO2** და სხვათა რაოდენობის ზრდა.

საერთაშორისო ექსპერტების მიხედვით, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად ნალექების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, განსაკუთრებით, ჩრდილო ნახევარსფეროში. გახშირდა მოულოდნელი თავსხმა წვიმები, ქარიშხლები, მეწყერული მოვლენები და სხვა.

გლობალური კლიმატური ცვლილებები, ასევე, გამოიწვევს გვალვებს, ნიადაგის გაუდაბნოებას, მდინარეებისა და ტბების დაშრობას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემცირებას, ნიადაგის ეროზიის გაზრდას, ნავთობის საბადოების დაშრობას, ტყის ხანძრებს, წლის სეზონების დაკარგვას, ახალი ინფექციების წარმოშობას (კორონავირუსი, 2019წ.). ეკოსისტემების პროდუქტიულობის შემცირებას, სახეთა რიცხვის შემცირებას ან გაზრდას, მიწისძვრებს, ვულკანურ ამოფრქვევებს, ტორნადოების მატებას, რასაც სისტემატურად განიცდის მსოფლიო.

როგორც აღვნიშნეთ, გლობალური კლიმატური ცვლილებები ციკლური პროცესია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. ამ პროცესების დაჩქარების ერთ-ერთ მიზეზად მოიაზრება პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა და ტექნიკური პროგრესი. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნები საკვებზე, წყალზე, ტყის რესურსებზე, სამრეწველო პროდუქტებზე, ბუნებრივ რესურსებზე (ქვანახშირი, ნავთობი, გაზი, წიაღისეული და ა.შ.).

ტექნიკური პროგრესის შედეგად ატმოსფეროს დამბინძურებელ რეგიონებად ითვლებიან: აშშ-30,3%; ევროპა-27,7%; რუსეთი-13,7%; იაპონია-3,7%; ჩინეთი და ინდოეთი-12,2%; არაბეთის ნახევარკუნძული-2,6%; ავსტრალია-1,3%; აფრიკა-2,5%; სამხრეთ ამერიკა-3,8%. ატმოსფეროში CO2-ის რაოდენობამ, 1958 წელთან შედარებით, მოიმატა 13%-ით, 1750 წელთან შედარებით – 25%-ით.

სკრიპსის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც სან დიეგოში მდებარეობს, აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნახშირორჟანგის გამყოფამ მსოფლიოში ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია – 1 კუბურ მეტრ ჰაერში 410 მილილიტრი ნახშირორჟანგი დაფიქსირდა. ეს მონაცემები კიდევ უფრო გაიზარდა ამაზონზე და ავსტრალიაში გაჩენილი არნახული ხანძრების ფონზე, მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ 1 კუბურ მეტრში ეს მაჩვენებელი 300 მილილიტრს არ ასცილებია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა ელის საქართველოს გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად და რა უნდა გავაკეთოთ მისი ზემოქმედების შესამცირებლად? რა თქმა უნდა, დედამიწაზე მომხდარი ყველა ცვლილება საქართველოზეც აისახება, თუმცა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამო პროცესები ისეთი მძაფრი არ იქნება, როგორც ბევრ სხვა ქვეყნებში.

გლობალური დათბობა დედამიწის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირად დაიწყო. ჩვენში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიმჩნეოდა აუტანლად ცხელი ზაფხულები არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ბოლო წლებში, მაგრამ დათბობის პროცესმა „მოახერხა“ და დასავლეთ საქართველოში ნალექები 27 მმ-ით შემცირდა, აღმოსავლეთ საქართველოში – 41მმ-ით. შესაბამისად, დასავლეთში საშუალო წლიური ტემპერატურა 2 გრადუსი **C**-ით გაიზარდა, აღმოსავლეთში კი 3 გრადუსი **C**-ით. თითქოს მცირე რიცხვია, სინამდვილეში კი კატასტროფული – ერთი ცელსიუსით ტემპერატურის მომატება წყლის დონეს 15 სანტიმეტრით აწევას ნიშნავს. ამის ნათელი დადასტურებაა, როდესაც ამ პერიოდში შავმა ზღვამ კოლხეთის დაბლობის 600 ჰექტარი მიწა ჩარეცხა და გამოუყენებელი გახადა. ხელსაყრელი პირობები შეექმნება მავნებელ-დაავადებებს გავრცელებისათვის, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობაზე. რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ გლობალური კლიმატური ცვლილებების შემთხვევაში?

1. კლიმატური ცვლილებების შერბილება;

2. მასთან ადაპტაცია.

კლიმატური ცვლილებების სრულად შეჩერება შეუძლებელია, თუმცა, პროცესი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების საშუალებით უფრო ადვილი სამართავი ხდება. შემარბილებელ ღონისძიებებში შედის : ატმოსფეროში თერმოაქტიური აირების, განსაკუთრებით CO 2-ის ემისიის შემცირება, თბოენერგეტიკის ალტერნატიული დარგების პრიორიტეტული განვითარება, ენერგოეკონომიკური ტექნოლოგიების დანერგვა, დედამიწის მწვანე საფარის შენარჩუნება და გაზრდა.

ადაპტაციურ ღონისძიებებს მიეკუთვნება: ეროზიის საწინააღმდეგო ჯებირების მშენებლობა, ქარსაცავი ზოლების გაშენება, საირიგაციო სისტემების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შეცვლა, მშენებლობის მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცვლილება ისე, რომ გარემოს ნაკლები ზიანი მიადგეს, ბუნებრივი რესურსების ყაირათიანი ხარჯვა, უნარჩენო წარმოებების დანერგვა და სხვა. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ცოცხალ ორგანიზმებს და მათ შორის ადამიანებს, ახასიათებთ ადაპტაციის უნარი. ამის დასტურია ისიც, რომ კაცობრიობამ ბევრ ცვლილებას გაუძლო. გლობალური, ეკოლოგიური პრობლემაც ხომ მორიგი ეკოლოგიური ცვლილებაა, – აღნიშნავენ ექსპერტები.

კაცობრიობის უპირველესი ამოცანაა, დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად არ შემცირდეს მცენარეთა მწვანე საფარი, პირიქით, შესაძლებლობის ფარგლებში ის უნდა გაიზარდოს. მწვანე მასის შემცირება უეჭველად იწვევს ნივთიერებათა წრებრუნვის ნორმალური მიმდინარეობის დარღვევას, ბუნებაში არსებული შედარებითი წონასწორობის დარღვევასაც, ნიადაგის ნაყოფიერების დაცემასა და ადამიანისათვის სხვა მრავალი არასასარგებლო პროცესის წარმოშობას.

მწვანე მცენარეები, რომლებიც აწარმოებენ ფოტოსინთეზის პროცესს, წარმოადგენენ პირველწყაროს სიცოცხლის არსებობისა, განვითარებისა და პროგრესისა. ფოტოსინთეზი წარმოადგენს ჟანგვა-აღდგენით რეაქციას, რომლის დროსაც მიმდინარეობს ატმოსფეროდან მიღებული ნახშირმჟავა გაზის ურთიერთქმედება წყალთან, რომლის წყაროცაა ნიადაგი. ამ რეაქციას მივყავართ მწვანე ფოთოლში ხსნადი ნახშირწყლების (შაქარი) სინთეზისა და ატმოსფეროში ჟანგბადის გამოყოფამდე. **(6CO2+6-H2O+**მზის ენერგია **=C6H12O6+-6O2**). დედამიწის მცენარეულობა ყოველწლიურად ფოტოსინთეზის შედეგად წარმოქმნის, დაახლოებით, 177 მილიარდ ტონა ორგანულ ნივთიერებას, აქედან 122 მილიარდი ტონა მოდის ხმელეთის მცენარეებზე და 55 მილიარდი ტონა მსოფლიო ოკეანის მცენარეულობაზე. ნახშირბადის შეთვისებას მცენარეების მიერ თან ახლავს ატმოსფეროში ჟანგბადის გამოყოფა. ნახშირმჟავა გაზისა და ჟანგბადის აღსადგენად წყალბადის წყაროს წარმოადგენს წყალი. ფოტოსინთეზის შემდეგ ითვისებენ რა მცენარეები ნახშირბადს და გამოყოფენ ჟანგბადს, ისინი გამოყოფენ და შლიან ჩვენი პლანეტის მთელ წყალს დაახლოებით 2 მილიონი წლის განმავლობაში. ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ფოტოსინთეზი ჭეშმარიტად კოსმიური პროცესია, რომელმაც პლანეტის სახე ძირეულად შეცვალა. ყველაფერი ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, ხაზს უსვამს მცენარის დიდ როლს ბუნებაში ნივთიერებათა წრებრუნვისათვის. ამას, შესაძლოა, ისიც დაემატოს, რომ მცენარეულობა დიდ გავლენას ახდენს კლიმატზე, წყალსატევებზე, ცხოველთა სამყაროსა და ბიოსფეროს სხვა წარმომადგენლებზე. ძალზე დიდია მცენარეულობის როლი ადამიანის ორგანიზმისათვის, ის არის ამოუწურავი წყარო მრავალი საკვები პროდუქტისა, ტექნიკური თუ სამკურნალო ნედლეულისა, საამშენებლო მასალისა და სხვა.

ამრიგად, გლობალური კლიმატური ცვლილებები სხვა გლობალურ პრობლემებთან (მშვიდობის შენარჩუნება, მოსახლეობის შიმშილისაგან და ეპიდემიებისაგან დაცვა, ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან განკურნება, კორონა ვირუსი და სხვა) ერთად, უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რადგან კლიმატური ცვლილებები, ისევე, როგორც პანდემია, არ ემორჩილება ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საზღვრებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ბოლო ათწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე მკვეთრად გამოხატული გვალვები, დღისა და ღამის ტემპერატურებს შორის სხვაობის დიდი ამპლიტუდა, სეზონების ინდიკატორების დარღვევა – ზაფხული შესაძლოა, იყოს ძალიან ცხელი, ზამთარი კი – ძალიან თბილი; უხვნალექიანობა, სეტყვა, წყალდიდობები, მეწყერული პროცესები, ხანძრები, რამაც საქართველოს, როგორც გეოგრაფიულ ერთეულს, დიდი ზარალი მიაყენა.

კლიმატის გლობალური ცვლილებების ასაცილებლად (შესარბილებლად) 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიოს 155-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონცეფციას, კლიმატის ცვლილებების შესახებ. 1994 წელს საქართველო შეუერთდა კონცეფციას კლიმატის ცვლილებების შესახებ. 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის 630 ბრძანებულებით საქართველოში შეიქმნა კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრი.

კლიმატის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა შეაფასა საქართველოში კლიმატის ცვლილების გავლენის ინტენსიობა და საქართველოს მგრძნობიარობა კლიმატის ცვლილებებისადმი. კერძოდ, გააანალიზა საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილება ბოლო 80-100 წლის მონაცემთა მიხედვით და დაადგინა ცვლილებათა ზოგადი ტენდენციები: ტემპერატურისათვის – 0.50ჩ დათბობა აღმოსავლეთ საქართველოში და 30ჩ აგრილება დასავლეთ საქართველოში. ნალექების 10-15%-ით ზრდა საქართველოს ბარის მთელ რიგ რაიონებში და 15-20%-ით შემცირება კავკასიონის მთიან რაიონებში. ამ ტენდენციათა გაგრძელებამ შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სოფლის მეურნეობას. აღმოსავლეთ საქართველოში 1-20ჩ-ით მომატების შემთხვევაში, მოსალოდნელია ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობის 30%-მდე შემცირება, ხოლო დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის დაკლება საგრძნობლად შეზღუდავს სუბტროპიკული, სითბოს მოყვარული კულტურების წარმოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება ძირეულად უნდა გარდაიქმნას. უნდა გადაიხედოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარაიონების ზონები. უნდა შეიცვალოს ისეთი კულტურებით, რომელთა ვეგეტაციის ხანგრძლივობა შესაბამისობაში მოვა ზონის კლიმატის ცვლილებებთან. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, გლობალური დათბობის კატასტროფა საქართველოს ისე არ შეეხება, როგორც სხვა ქვეყნებს. ჩვენი ქვეყანა ორ ზღვასა და ორ მთას შორის არის მოქცეული, სწორედ მათ დაიფარეს ჩვენი ქვეყანა ადრეული გამყინვარებისაგან. ერთი მხრივ, კასპიისა და შავი ზღვის თბილმა ჰაერმა, მეორე მხრივ კი, კავკასიონისა და მესხეთის ქედების ფარმა საქართველოში გლობალური ყინულის მასა არ შემოუშვა, ასე იქნება ახლაც – ზღვას ახასიათებს, ზაფხულობით ტემპერატურა შთანთქას, ზამთარში კი გამოუშვას, ეს პროცესებს დაარეგულირებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გლობალიზაციის პროცესში ჩართვა სასიკეთოდ წაადგება საქართველოს მოსახლეობას, თუმცა, ჯერჯერობით, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები ვერ აკმაყოფილებს „მდგრადი განვითარების“ მოთხოვნებს. კონცეფცია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და რომელსაც საქართველოც შეუერთდა, მოითხოვს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, როდესაც ახლანდელი თაობა არ შეუქმნის წინააღმდეგობებს მომავალ თაობებს ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დააყენოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

გლობალური კლიმატური ცვლილ-ებების უარყოფით ზემოქმედებას, სამწუხაროდ, 2019-2020 წლებში კორონა-ვირუსის მსოფლიო პანდემიაც დაემატა. ადამიანთა დანაკარგების გარდა ქვეყნის იზოლაციამ ტურიზმის მნიშვნელოვანი შემცირება და ექსპორტ-იმპორტის კლება გამოიწვია, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებზე. ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვამ სუბტროპიკულ ზონაში არსებული ისედაც მცირე შრომისუნარიანი მოსახლეობის სეზონურ სამუშაოზე (თურქეთი, საბერძნეთი და სხვა) მოსახლეობის სეზონურ სამუშაოზე (თურქეთი, საბერძნეთი და სხვა) წასვლა აკრძალა. ასევე, მოსალოდნელია, საზღვრების ჩაკეტვამ გამოიწვიოს ამ ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის შეჩერება, რითაც, სამწუხაროდ, გაჯერებულია ქართული ბაზარი. აქედან გამომდინარე, დროა, დავფიქრდეთ მოსალოდნელ სიძნელეებზე. დროა, ქვეყნის მოსახლეობამ გააააქტიუროს მუშაობა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. საჭიროა არსებული და მიგდებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება მარცვლეული, ბოსტნეული და მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად. ასეთ პირობებში თითოეულმა გლეხმა, ფერმერმა თუ კომპანიამ სახელმწიფოს მხარდაჭერითა და გვერდში დგომით, მაქსიმუმი უნდა გააკეთოს საკუთარი მოსახლეობის კვების პროდუქტებით დასაკმაყოფილებლად. მივხედოთ ჩვენს სოფლებს და ავაღორძინოთ მიტოვებული კარმიდამო. საქართველო საკუთარი ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ამოქმედებით შეძლებს ევროპული დონის ეკონომიკის მქონე ქვეყნად ქცევას.

ზაურ გაბარიჩიძე

სმმ დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

დავით აღმაშენებლის (ყოფილი 1905 წლის) ქუჩა

1905 წლის ქუჩას ადრე ქუთაისის ქუჩა ერქვა ეს მთავარი გზატკეცილია ოზურგეთიდან ჩრდილოეთ გურიისა და იმერეთის დამაკავშირებელი, ამიტომაც დაარქვეს ალბათ ქუთაისის ქუჩა.

ქუჩა იწყება გმირთა მოედნიდან და გძელდება სოფელ ბოხვაურამდე, სადაც აღმართულია სამი ძმები გურულების აღმნიშვნელი ბარელიეფი.

1905 წლის ქუჩა

1906 წლის იანვარის დასაწყისში გურიაში შეიჭრა ხერსონის პოლკის ჯარისკაცები პოლკოვნიკ კრილოვის ხელმძღვანელობით. კრილოვმა გადაწვა ოზურგეთი, ნაგომარი, ლანჩხუთი. ოზურგეთში, როგორც ამობენ მოსახლეობისათვის სამი დღით ადრე უთქვამს სახლებს არ დაგიწვავთო, მაგრამ . კაზაკებმა ყოველი სახლის და ეზო გადაწვეს ცეცხლის გასაძლერებლად ჯერ გუდრონს ადნობდნენ, მერე სახლს ასხამდნენ და ჩირაღდანს ესროდნენ. თუ სახლის პატრონი წინააღმდეგობას გაუწევდა იმასაც ცეცხლში გადაუძახებდნენ საკვირველი ის არის, რომ ასეთი სისასტიკე ოსმალებსაც არ ჩაუდენია 1918 წელს. მათ გადაწვეს ოზურგეთში ყოველი მესამე სახლი 1905 წელს, ცენტრიდან მოყოლებული დვაბზუს ჩათვლით რამდენიმე კილომეტრის მანძილზე აალებული ოზურგეთის სახლები ანათებდა არემარეს. მაგრამ ამ გაუგონარმა სისასტიკემ ვერ მოდრიკა გურულები კრილოვის დამსჯელი რაზმების სისხლიან მოქმედებას აჯანყებულმა გურულებმა პარტიზანული ბრძოლით უპასუხეს.

გურულ დაზარალებულთა დასახმარებლად ქართველმა პატრიოტებმა შექმნეს „დამწვართა გამგეობა“, რომლის ხაზინადარი და მდივანი იყო ნინო ნაკაშიძე.სულ აღწერილი იყო ოთხას წვრილშვილიანი გადამწვარი ოჯახი. ნაწილი ამ ოჯახთა გადამწვარი სახლების სიისა ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება. ამ ამბებს ერთი გადარჩენილი ნივთი, კერძოდ ხალიჩა ინახება მხატვარ აწ გარდაცვლილ გერონტი ღლონტის ოჯახში. მისმა მეუღლემ ქალბატონმა ზოია ღლონტმა მიამბო: გერონტის ბაბუა ჯარისპან ღლონტი (ცხოვრობდა ყოფილი საბურავების შემკეთებელი ქარხნისმ იმდებარე მი-მდებარე ტერიტორიაზე). იგი აზნაური იყო (მოწმობა ამის დამადასტურებელი ახლაც ინახება ოჯახში), ჰქონდა ოდა სახლი და რამდენიმე დამხმარე ნაგებობა : ბეღელი, ნალია, სამზადი, წისქვილი და ა.შ. ქალბატონი ზოია იხსენებს: მამიდა ნატაშას მონათხრობს: თუ როგორ შემოცვივდნენ ეზოში ყაზახ რუსები ,დაუშინეს ტყვიები სახლს, ცეცხლი გაუჩინეს წინა მხრიდან , მე კედლიდან ნოხი ჩამოვგლიჯე გავიქეცი და ჭაში ჩავაგდე. ცხრა წლის ვიყავი მაშინ. იგენს მამაჩემი ჯარისპანი სახლში ეგონათ და უფიქრიათ გამოვწვავთ შიგო. მამაჩემმა გასწრო და ეზოს უკან საღორეში დაიმალა. ასე გადარჩა თვითონ სახლი კი დაიწვა ,მაგრამ ჩვენ კიდევ გვქონდა სახლი რკინისგზის სადგურთან ახლოს იქედან ამოიტანეს სახლი და აქ დადგეს“.

კომუნისტრბმა ქუჩას 1905 წლის სახელი რუსეთის პირველი რევოლუციის საპატივცემულოდ დაარქვეს, რომელიც მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათია წლებში ნაუცბათევად გადაარქვეს და მას დავით აღმაშენებლის სახელი უწოდეს. რაც არასწორად მიმაჩნია.

ირაკლი მახარაძე კინორეჟის-ორი მკლევარი, მწერალი:„*გურულებმა 1905 წელს გამოაცხადეს გურიის რესპუბლიკა, რომელმაც დახლოებით ექვსი თვე იარსება, რეალურად კი სამი წელი, თუ ათვლის წერტილად ნიგოითის 1902 წლის ამ-ბებს ავიღებთ, როცა გურულებმა დაიწყეს საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადება და ჯანყი ამ პოლიციური მონსტრი-სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ გურიის რესპუბლიკას, პარიზის კომუნას ადარებენ, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ კომუნამ სულ ათი კვირა იარსება, გურიის რესპუბლიკამ კი ლამის სამი წელი,ხოლო იმის გამო, რომ საფრანგეთი ევროპის შუაგულშია, ამის შესახებ ყველამ იცის, გურიის შესახებ კი მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრემ. ეს ამბავი ხომ უნდა გამოსწორდეს, ამიტომაც საჭირო, რომ აღმაშენებლის ქუჩას ისევ დაერქვას 1905 წლის სახელი, ამით ჩვენს დიდ მეფეს არაფერს დავაკლებთ, სამაგიროდ განვადიდებთ იმ ადამიანებს, ვინც იარაღით ხელში დაუპირისპირდა რუსეთის იმპერიას, მამაც გურულებს. გურულებმა გააკეს ის, რასაც რუსეთის იმპერიის ინტელიგენციის არა ერთი თაობა გადაყვა — ხელში აიღეს მმართველობის სადავეები, რასაც ლენ ტოლსტოიც აღნიშნავდა. აი რას წერდა იგი ცნობილ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს ილია ნაკაშიძეს:“ვასაკვირი ცნობებია გურიიდან,რ ოგორ გააუქმეს მთავრობა და გათავისუფლდნენ. ამავდროულად დაიწყეს უკეთესი ცხოვრება და ბევრად უფრო თავისუფალი გახდნენ, აუცილებლად უნდა გავაცნოთ ხალხს ის დიდმნიშვნელოვანი ამბები, რაც გურიაში ხდება, თუმცა კიცი გურულებს წარმოდგენაც არა აქვს ჩემი არსებობის შესახებ, მაინც ძალიან მოსურნე ვარ გაუზიარო მათ ის გრძნობები და აზრები, რომლებსაც ჩემში იწვევს მათი გასაოცარი მოქმედება... გურიის ამბებით აღფრთოვანებული დიდი მწერალი ცდებოდა, რომ თითქოს გურულებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მისი არსებობის შესახებ, პირიქით“ საქართველოს საფრანგეთის „მცხოვრებლებმა ბევრი რამ იცოდა ტოლსტოის შესახებ. როცა ილია ნაკაშიძე სამ ათასიან კრებას მის წერილს უკითხავდა და იმ ადგილამდე მივიდა სადაც ტოლსტოი ამბობდა, რომ გურულებმა არაფერი იცან ჩემს შესახებო, ხალხმა პროტესტის ნიშნად ხმაური ატეხა, ტოლსტოის დიდი ხანია ვიცნობთ განსაკუთრებით მის ზღაპრებსო და რომანს „აღდგომა“.

*როგორც ყველგან და ყოველთვის გურულები აქაც გამოირჩეოდნენ ორიგინალურობით და მათ საკუთარი პრეზიდენტიც კი ჰყავთათ — **ბენია ჩხიკვიშვილი** მას „გურიის მეფესაც“ უწოდებდნენ. ბენია ჩხიკვიშვილის თაოსნობით დაშალეს ოზურგეთის საქალაქო სბჭო და მიიწვიეს „გურიის დრებითი პარლამენტი“.*

ეს ყველასათვის სამგალითო ამბავი გურიის რესპუბლიკისა ყველამ უნდა იცოდეს, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ქუჩას ისევ ეწოდოს 1905 წლის სახელი და ასევე უპრიანი იქნება რომელიმე ქუჩას ქუჩას ოზურგეთში დაერქვას ბენია ჩხიკვიშვილს სახელი“.(ირაკლი მახარაძე გაზეთი „გურია ნიუსი“. 28 მარტი-3 აპრილი). სრულიად ვეთანხმები ბატონ ირაკლის მოსაზრებას. მიმაჩნია, რომ მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ჩვენი წარსულის ისტორია“.

აღმაშენებლის ქუჩა

დავით აღმაშენებელი (1073-1125წწ). საქართველოს მეფე (1089-1125 წწ.) გიორგი მეორის ძე, გამეფდა 16 წლისა. მას მემკვიდრეობად ერგო თურქსელჩუკებიაგან აოხრებულ-გაპარტახებული ქვეყანა. იგი თავის მედგარი რაზმებით სისტემატიურად ესხმოდა თავს დამპყრობელს. დავითი იბრძოდა სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და„ა მიტომაც დაუნდობელი გახლდათ ყველა მოწინააღმდეგის მიმართ. 1099 წელს თურქსელჩუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. აქედან იწყება ქვეყნის აღმავლობაც, რამაც საშუალება მისცა მას, რათა მთელი ძალები მიემართა ქართული მიწა-წყლის გაერთიანებისაკენ. მან ჯერ შემოიერთა კახეთი და ჰერეთი.

დავითი საერო დიდგვაროვნებთან ერთად ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე საეკლესიო ფეოდალებსაც ებრძოდა. უღირსი საეკლესიო სამსახურის თანამდებობის პირები გადაყენა და მათ ნაცვლად მისი ერთგული ხალხი აირჩია.

1110 წელს ქართველთა ლაშქარმა სამშვილდე აიღო,1 115 წელს რუსთავი, 1117 წელს გიში, 1118 წელს კი ლორე. .

დავითმა გაატარა დიდი სამხედრო რეფორმა, ჯარი გაწრთვნა და დაამყარა მტკიცე დისციპლინა, გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა. 1118-1120 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში დაასახლა 40 ათასი ყივჩაღი და მათგან შექმნა ორმოცდაათასიანი მუდმივი ჯარი, ერთგული მებრძოლებისაგან შეადგინა ხუთათასიანი პირადი გვარდია.

1121 წელს დავითმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა მრავალრიცხოვან მუსლიმანთა ჯარს და სასტიკად დაამარცხა იგი. ეს იყო სახელოვანი დიდგორის ბრძოლა.

ამ გამარჯვებით დავითმა დიდად განამტკიცა საქართველოს ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთში.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ, 1122 წელს, მან თბილისიც შემოუერთა საქართველოს, 1124 წელს კი საქართველოს შირვანიც დაუმორჩილა ..

დავიათი ყოველნაირად ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას რის გამოის-ობითაც მეტად დაწინაურდა სამოქალაქო ცხოვრება,მოჭრა ქართული მონეტა., რომლის კურსიც სათანადო რეფორმების შედეგად, კიდევ უფრო განმტკიცდა, დავითი დიდ მნიშვნელობას ანიწებდა სასამართლო დაწესებულებებს.

დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა და იქ გელათის აკადემიის შექმნამისი ინიცატივით აგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შიომღვიმეში.

ქვეყნის დიდი აღმშენებლობ-სათვის ქართველმა ერმა მას „აღმაშენებელი“ უწოდა.

მანანა ლომაძე

ფეხბურთი უყვარს და ფეხბურთით ცხოვრობს



იური ჩხაიძე დაიბადა 1946 წლის 10 ივნისს, ქ. მახარაძეში. ფეხბურთის თამაში დაიწყო ადგილობრივ სპორტსკოლაში მწვრთნელ რეზო (ტიადო) ცერცვაძესთან.

1963-1964 წლებში თამაშობდა „მერცხალში“,(მწვრთნელი ბიძინა ტაბიძე);

1965 წელს ქუთაისის „ტორპედოში“ ანდრო ჟორდანიამ მიიწვია;

1965-71 წწ ჩათვლით 133 მატჩი ითამაშა „ტორპედოს“ შემადგენლობაში სსრკ პირველობაზე უმაღლეს ლიგაში;

1969 წელს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში პოლონეთის ოლიმპიური ნაკრების წინამდეგ ითამაშა;

1972 წელს ანატოლი ნორაკიძის დაჟინებული თხოვნით, რომელიც იმ ხნად „მერცხალში“ უფროსი მწვრთნელი იყო, დაბრუნდა მშობლიურ გუნდში.

1975 წლიდან - 1981 წლამდე იყო „მერცხალის“ მთავარი მწვრთნელი, მათ შორის პირველ ეროვნულ ჩემპიონატში.

თანამოაზრეებთან ერთად დაარსა ბავშვთა საფეხბურთო კლუბი,ბასა“.

— 1965 წელს, მახარაძეში სპეციალურად ანდრო ჟორდანას დავალებით მომაკითხა შემოქმედელმა ანზორ(სკენტერა) სიამაშვილმა რომელიც უკვე ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითადი გუნდის მოთამაშე იყო — იხსენებს ბატონი იური!

—რა იყო ბიჭო, არ გინდა ფეხბურთის თამაში „ტორპედოში?“ —ჰკითხა ანზორმა.

— რავა არ მინდა, პასუხობს იურა.

—ორი „დეპეშა“ გამოვგზავნეს და არ გაგიგია?

—არა არაფერი არ ვიცი, პასუხობს იურა გაკვირვებული. წამოხვიდე უნდა ქუთაისში „დიკოლამ“ (ასე ეძახდნენ ანდრო ჟორდანას) გამომიშვა შენს წასაყვანად.. — გახარებული ჩავუჯექი მანქანაში და წავედი ქუთაისში. გუნდში რომ მივედი დამხვდნენ: კუტივაძე,ხერხაძე ,ხაჟალია, ჩხარტიშ-ვილი, სიამაშვილი, ლოსაბერიძე სარჯველაძე, ნიშნიანიძე, კვასხვაძე ,ასიტაშვილი, წვერავა.

ანდრო ჟორდანას უყვარდა ახალგაზრდა ფეხბურთელების აღმოჩენა და მათი დაწინაურება,ანდრო რომ არ მე შეიძლება ფეხბურთი ასეთ მაღალ დონეზე არ მეთამაშა —ამბობს იური.

პირველად სსრკ პირველობაზე „ტორპედოს“ შემადგენლობაში 19 წლისამ ითამაშა მინსკის „დინამოს“ წინაღმდეგ, რომელიც „ტორპედომ“ მოიგო 1-0.

—მინსკელებს ძლიერი თავდასხმა ჰყავდათ: მალაფაევი, მუსტიგინი, ადამოვი,— იხსენებს იურა, მათ წინამღდეგ თამაში დიდ ენერგიასა და მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას მოითხოვდა, თამაშის შემდეგ დამიბარა ანდრომ შემაქო, და მითხრა: — „დიკოლ“, გურულებს სიმღერა და თამაში კარგად გამოგდით გაავრძელე მასე!

თამაშზე როცა გავდიოდი და დავინახე გადაჭედილი ტრიბუნები ხალხით სავსე ჩემ თავს ვუთხარი: თავს არ დავზოგავ ვიბრძოლებ რომ მათი გულები გავახარო!

როცა მცველს ძალა გერჩის, სათამაშო სიტუაციებში ერკვევი,იბრძვი მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთზე, სათამაშო აზროვნება და ტექნიკაც ბუნებამ არ დაიშურა, შეგიძლია ნებისმიერ თავდასხმელთან ითამაშო მაღალ დონეზე

იურა ჩხაიძის მეურვეობის ქვეშ თამაში უჭირდათ ისეთ ლეგენდა ფეხბურთელებს, როგორებიც იყვნენ: მესხი, მეტრეველი, სტრელცოვი, პანდელენიკი, ჩისლენკო, მალაფაევი, ივანოვი, ლობანოვსკი, ხმელნიცკი, ბანიშევსკი, და სხვა მრავალი

ჩხაიძე არ იყო უხეში დამცველი, მეტოქეს არ ურტყამდა ფეხებში უკნიდან, ხვდებოდა მას პირისპირ, შედიოდა თავდამსხმელთან ორთაბრძო-ლაში და ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა და თავისი გონივრული გადაცემით გუნდი იწყებდა შეტევას.

იური ჩხაიძე კაცი იყო მინდორზეც და მინდვრის გარეთ, კაცი რომელიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობას თავის მეგობრებში და საზოგადოებაში, მისი ცხოვრება ფეხბურთით დაიწყო და დღესაც ფეხბურთშია

ფეხბურთში გატარებული წლები ჩემთვის არის ძალიან ტკბილი მოგონება ფეხბურთი არის ჩემთვის ყველაფერი ამბობს ბატონი იური!

ქუთაისის ტორპედო 1970 წ. ლესელიძე. ქვედა რიგში დ. გოგია, შ. ოქროპირაშვილი, ჯ. ქერქაძე, გ. ქიქავა, ა. ერქომაიშვილი, მ. ასიტაშვილი; ზედა რიგში: გ. აბზიანიძე, რ. ნაჭყებია, ა. წვერავა, რ. სანაია, ი. ჩხაიძე

დღესაც გრძელდება მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ყოფილ თანაგუნდელებთან: ავთანდილ (კუსა) წვერავასთან, გარი ქიქავასთან, ზორბეგ ებრალიძესთან, ლევან ნოდიასთან, დავით გოგიასთან, რეზო ძოძუაშვილთან, ნოდარ ჩხარტიშვილთან, როლანდ ისიანთან, დავით არობელიძესთან, ქუცუნია ქადეიშვილთან, პავლე ჟორდანიასთან და სხვა ვეტერან ფეხბურთელებთან.

ფეხბურთი უყვარს და ფეხბურთით ცხოვრობს!

სიცოცხლეში დავაფასოთ, სიცოცხლეში გვიყვარდეს!

ხარიტონ ჩხატარაშვილი

იაკობ ბოლქვაძის ხსოვნის ტურნირზე

8 ივნისს, სოფელ ნატანებში, გივი წითლიძის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ცნობილი პედაგოგის, ზემო ნატანების საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის იაკობ ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში 2011-2012 წლებში დაბადებულებს შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ ბათუმის საფეხბურთო სკოლა „ბაკურის“ ორი გუნდი (დირექტორი ჯუმბერ მენაბდე, მწვრთნელები დათო აბესლამიძე, ზურაბ ტუღუში) და ნატანების „საღვთოს“ ორი გუნდი.

დაძაბულ ბრძოლებში სტუმრებმა გაიმარჯვეს და გადაეცათ საპატიო თასი.

ჯილდოები და დიპლომები გადაეცათ ტურნირში მონაწილეებს; 7 ნომინაციაში გამოვლინდა საუკეთესო ფეხბურთელი.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული (ორგანიზატორი გია ტუღუში), ესწრებოდა ოზურგეთის მერის ადგილობრივი წარმომადგენლები. დარბაზში კი – მრავლად იყო მაყურებელიც.

განცხადება

ქირავდება ფართი 130 კვ.მ ქ. ოზურგეთი, აღმაშენებლის ქუჩა №2. დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ: 595 04 65 21

ხსოვნა

იაკობ ბოლქვაძე



წინაპართა აჩრდილებს შეუერთდა კიდევ ერთი, ქართული პედაგოგიური საზოგადოების უბადლო წარმომადგენელი, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, ჭეშმარიტი მოქალაქე, ზემო ნატანების საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ათეული წლების მანძილზე სკოლის დირექტორი, უანგარო, გულწრფელი პიროვნება-ბატონი **იაკობ ბოლქვაძე.**

იგი როგორც მოძღვარი მისაბაძი იყო, რომელიც პირადი მაგალითით წვრთნიდა მომავალს. ბატონი იაკობის ზნესრული ცხოვრების თითოეული ეტაპი განვლილი თავდადებული გარჯით, შინაგანი ღირსებით, ვალდებულების განცდით, მაღალი პასუხისმგებლობით, კოლექტივისადმი გულისხმიერებით დამ ზრუნველობით იყო დატვირთული.

ჩვენ ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დატოვა კვალი ნათელი, საშვილიშვილოდ დასამახსოვრებელი. დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი იაკობის ლამაზი პედაგოგიური ოჯახი, მისი ვაჟიშვილი ჩვეული ენერგიით გააგრძელებს მამისეულ ტრადიციებს. მისაბაძია რომ, როგორ სუფთად, კაცურკაცობით განვლო წუთისოფელი. ბატონი იაკობის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, კოლეგების,ახლობლების გულში, როგორც კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, სითბოსა და სიყვარულის მაგალითი.

თავისი საოცარი თბისებების გამო იგი გამოარჩია უფალმა და კვირაცხოვლობას გაიყვანა წუთისოფლიდან.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, განისვენოს სამარადისოდ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ზემო ნატანების საჯარო სკოლის კოლექტივი

სამთპ-ის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

სკანვორდი



პასუხები:

ფალი, ფინანსი, ფინანსური, ფინანსურ, ფინანსურ, ფინანსურ

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



1905 წლის დეკემბერში მოსკოვში მომხდარი შეიარაღებული აჯანყების დამარცხება მიჩნეულია 1905 წლის რევოლუციის დასასრულად. მალე გაანადგურეს რევოლუციის ძირითადი კერები.

ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე

რევოლუციის მსვლელობამ აჩვენა, რომ აუცილებელი გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციის გაერთიანება. გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა განზრახული იყო 1905 წლის დეკემბერში. რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტისაგან ყრილობის დელეგატად აირჩიეს **იოსებ ჯუღაშვილი,** რსდმპ ბაქოს კომიტეტისაგან – **პიოტრ მონტინი,*** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისაგან – **გიორგი თელია.** 1905 წლის დეკემბრის მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების გამო შეუძლებელი გახდა ყრილობის ჩატარება. მის ნაცვლად 1905 წლის 12-17 დეკემბერს ტამერფოსში (ფინეთში) შედგა რსდმპ პირველი კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევის შესახებ. ტამერფოსის კონფერენციის შემდეგ დაიწყო მზადება მორიგი, გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევისათვის. ამჯერად ორივე ფრაქცია დაინტერესებული იყო ყრილობის მოწვევით. მწვავედ ჩაიარა დელეგატების არჩევნებმა. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ რიგ ქალაქებსა და რაიონებში პარალელურად არსებობდა მენშევიკური და ბოლშევიკური კომიტეტები, ზოგან მოქმედებდა გამაერთიანებელი კომიტეტები. ცხადია, ორივე ფრაქცია ცდილობდა სასურველი კანდიდატის გაყვანას, არ ერიდებოდნენ დელეგატთა არჩევის დადგენილი წესის დარღვევასაც კი. გამონაკლისს არ შეადგენდა თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები.

რსდმპ IV ყრილობის წინ, 1906 წლის იანვარ-თებერვალში, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციების გაერთიანების კვალდაკვალ გაერთიანდნენ ქუთაისის, ბათუმისა და სხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ამ მოვლენის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 10(23) აპრილიდან 25 აპრილამდე (8 მაისამდე) სტოკჰოლმში. ყრილობას ესწრებოდა 112 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 22 დელეგატი სათათბირო ხმით, 12 წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ბუნდი, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, უკრაინის სოციალ-დემოკ-რატიული მუშათა პარტია, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია). ფრაქციების მიხედვით დაახლოებით 62 ხმა ეკუთვნოდა მენშევიკებს, 46 კი – ბოლშევიკებს. რამდენიმე გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ შემრიგებლებს (ე. წ. „ცენტრი“), რომლებიც ძირითად საკითხებში მენშევიკებს ემხრობოდნენ. ქართული სოციალ-დემოკრატია ყრილობაზე შემდეგი დელეგატებით იყო წარმოდგენილი: **თბილისის** ორგანიზაცია: **ნოე ჟორდანია (კოსტროვი),კალისტრატე გოგუა (დავიდოვი),გრიგოლ ურატაძე (გრიშინი), გარინი, ე. ერაძე (ბრადინი), ბაჩიძე, ვლასა მგელაძე (ტრიაძე), ისიდორე. რამიშვილი (ბერიევი), ივანოვი, სოლომონოვი, იოსებ ჯუღაშვილი (ივანოვიჩი);ქუთაისის** ორგანიზაცია: **ნიკოლოზ ჭიჭინაძე (ქართველოვი), ვლადიმერ ჯიბლაძე (პეტროვი);გურიის** ორგანიზაცია: **ჟაკოვი, ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე (ვორობიოვი), შაითანოვი; ბათუმის** ორგანიზაცია: **თურმანიძე (ბაჟანოვი)**; **ფოთის** ორგანიზაცია: **იორდანოვი**. საქართველოს სოციალ-დემოკრატიიდან არჩეული 18 დელეგატიდან 17 მენშევიკი იყო, ბოლშევიკების წარმომადგენელი მხოლოდ ერთი დელეგატი – **იოსებ ჯუღაშვილი**. ყრილობის მუშაობაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობდა 2 ქართველი დელეგატი ბაქოს ორგანიზაციიდან – მენშევიკი **სეით დევდარიანი (დიანოვი)** და ბოლშევიკი **პავლე საყვარელიძე** (საქარელოვი). კიდევ ერთი დელეგატი, მენშევიკი **დ. ღამბაშიძე (სიმონოვი)**, სათათბირო ხმით არჩეული იყო ბაქოს ორგანიზაციიდან. სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში დადგენილი არ არის ზუსტი ვინაობა საქართველოდან არჩეული დელეგატებისა, რომლებიც ყრილობის ოქმების ყველა გამოცემაში იხსენიებიან შემდეგი გვარებითა თუ ფსევდონიმებით: **გარინი, ბაჩიძე, ჟაკოვი, შაითანოვი, თურმანიძე, იორდანოვი**. კავკასიის ოხრანკის მონაცემებით, რსდმპ IV ყრილობაზე შაითანოვის ფსევდონომით მყოფი დელეგატი იყო **გრიგოლ ურატაძე,** ხოლო ჟაკოვისა – **რაფიელ ჩიხლაძე** ან **ნოე რამიშვილი.** ოხრანკის ეს ცნობა მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ გრიგოლ ურატაძე ყრილობაზე გამოდიოდა **გრიშინის** ფსევდონიმით. რაც შეეხება **ჟაკოვს,** იგი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო რაფიელ ჩიხლაძე ან ნოე რამიშვილი, თუმცა გადაჭრით არც ამის მტკიცება შეიძლება.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა 15 საკითხი:

1. რსდმპ აგრარული პროგრამის გადასინჯვა;

2. თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ;

3. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისა და თვით სათათბი-როსადმი დამოკიდებულების ტაქტიკა;

4. შეიარაღებული აჯანყება;

5. პარტიზანული გამოსვლები;

6. დროებითი რევოლუციური მთავრობა და რევოლუციური თვითმმა-თველობა;

7. მუშათა დეპუტატების საბჭოსადმი დამოკიდებულება;

8. პროფესიული კავშირები;

9. დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი;

10. დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ორგანიზაციასთან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბუნდი);

11. გაერთიანება;

12. სხვადასხვა.

ყრილობის პირველ სხდომაზე **ნოე ჟორდანია** აირჩიეს სამანდატო კომისიაში. პარტიის ყრილობებზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამანდატო კომისიას ძალზე დიდი, საპასუხისმგებლო საქმე ევალებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დელეგატების არჩევნები რუსეთში არალეგალურად ხდებოდა, მათი ყრილობაზე გამგზავრებაც, რა თქმა უნდა, არალეგალურად მიმდინარეობდა. დელეგატთა არჩევნებს ხშირად თან ახლდა სერიოზული დარღვევები, რაც სწორედ სამანდატო კომისიას უნდა დაედგინა. განსაკუთრებით ძნელი იყო სამანდატო კომისიის მუშაობა რსდმპ IV ყრილობაზე, რადგან დელეგატები ზოგან აირჩიეს მენშევიკურმა ან ბოლშევიკურმა კომიტეტებმა, ზოგან კი – გაერთიანებულმა კომიტეტებმა. ყრილობაზე დაფიქსირდა ბევრი შემთხვევა დელეგატების დადგენილი წესის დარღვევით არჩევისა. ყოველ ასეთ შემთხვევაზე საგანგებოდ მსჯელობდა სამანდატო კომისია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ყრილობა.

ყრილობის მესამე სხდომაზე იხილებოდა საკითხი პოლონეთის საგანგებო დამფუძნებელი კრების მოთხოვნასთან დამოკიდებულების შესახებ. დღის წესრიგში მის შეტანასთან დაკავშირებით **ნიკოლოზ ჭიჭინაძემ** წამოაყენა წინადადება: საკითხი გაეფართოებინათ და დაეკავშირებინათ რსდმპ პროგრამაში ეროვნულ საკითხთან. **ნოე ჟორდანიამ** ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ეროვნული საკითხი ჩვენს წინაშე ამჟამად დგას არა როგორც პრაქტიკული, არამედ როგორც ტაქტიკური. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენი პროგრამის ესა თუ ის პუნქტი“. მანვე წამოაყენა წინადადება:ნაცვლად პოლონეთის საგანგებო დამფუძნებელი კრების მოთხოვნასთან დამოკიდებულების შესახებ საკითხისა, დღის წესრიგში შეეტანათ ასეთი პუნქტი: **„ეროვნული საკითხი“.** სტეფან შაუმიანმა ნიკოლოზ ჭიჭინაძის წინადადებასთან დაკავშირებით პირდაპირ განაცხადა: თუ ქართველოვს (ნ. ჭიჭინაძეს) აინტერესებს ამიერკავკასიის ავტონომიის საკითხი, მაშინ ეს პირდაპირ უნდა ეთქვა, რადგან „ეროვნულ საკითხს ჩვენს პროგრამაში არასოდეს არ აღუძრავს ეჭვი კავკასიაში ჩვენი ამხანაგების რიგებში. არასოდეს არც კავკასიის ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ლიტერატურაში, არც კონფერენციებზე, არც ცალკეულ ორგანიზაციაში, რამდენადაც მე ვიცი, არ აღძრულა საკითხი ამიერკავკასიის ავტონომიის შესახებ“. სტეფანე შაუმიანს არ დაეთანხმა **ისიდორე რამიშვილი.** მან განაცხადა: „ამბობენ, რომ ამ ყრილობაზე არ არის საჭირო ეროვნული საკითხის დაყენება იმის გამო, რომ მისი გადაწყვეტა ჯერ თითქმის არ წამოუჭრია ცხოვრებას. პირიქით, მე მგონია, რომ მოცემულ ისტორიულ მომენტში, როცა რევოლუციამ ირგვლივ ყველაფერი შეარყია, ეროვნული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ მწვავე საკითხს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი უყურადღებოდ დატოვება“. სტეფანე შაუმიანის საპასუხოდ ისიდორე რამიშვილმა აღნიშნა: „ახლა აქ ამხ. სურენინი ამბობდა, რომ კავკასიაში ვერც ერთი დემოკრატის პირიდან ვერაფერს გაიგონებ ეროვნული საკითხის შესახებ. მე ვუპასუხებ ამხანაგს, რომ მით უარესი ასეთი სოციალ-დემოკრატისათვის, თუ ის კავკასიის ყველა ეროვნებას შორის ვერ ამჩნევს ძლიერ ეროვნულ მოძრაობას, რომლის მომხრეები ჯგუფდებიან, ორგანიზდებიან და ცდილობენ მასების გამოგლეჯას სოციალ-დემოკრატიის გავლენისაგან. ასეთ მძაფრ დროში ჩვენ დუმილი არ შეგვიძლია. ამიტომ ყრილობას ვთავაზობთ, გადასინჯოს II ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება ეროვნებათა ადგილობრივი და საოლქო თვითმმართველობის შესახებ და მოხდენილ იქნას ცვლილებანი და დამატებანი დროის შესაბამისად“. სტეფანე შაუმიანს არ დაეთანხმა აგრეთვე დელეგატი ჟაკოვი გურიის ორგანიზაციიდან. მან აუცილებლად მიიჩნია დღის წესრიგში ეროვნული საკითხის შეტანა, თანაც ხაზი გაუსვა იმას, რომ კავკასიაში სწორედ ეროვნული საკითხის სიმწვავის გამო ჭირდა პარტიული მუშაობა. საბოლოოდ ყრილობამ დღის წესრიგის დამტკიცებისას მიიღო ნიკოლოზ ჭიჭინაძის შესწორება, ხოლო ნოე ჟორდანიას წინადადება უარყოფილი იქნა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე დიდი პოლემიკა გამოიწვია აგრარულმა საკითხმა. აგრარული საკითხის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და ამჯერად მას აღარ დავუბრუნდებით.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე – თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ– ყრილობაზე მოხსენებითგამოვიდა **საულ პიკერი (ალექსანდრ მარტინოვი)**. ა. მარტინოვმა ყრილობას წარუდგინა მიმდინარე მომენტის შეფასებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების განსაზღვრის ბოლშევიკური (ვლადიმერ ლენინის) კონცეფციის დასაბუთებული კრიტიკა: „დროებითი რევოლუციური მთავრობა – რესპუბლიკა, აი, ბოლშევიკების მთელი პოლიტიკური სისტემა. როგორი უბრალო, ნათელი, მკაცრი და მიმზიდველია იგი! ვინ არ მოისურვებს ამას?! მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვევლინა სათათბირო და მთელი სურათი წაახდინა. სურათი რომ სუფთად შეინარჩუნონ, სათათბირო წინასწარ ცხადდება შავრაზმელურად და ხდება არჩევნების ბოიკოტირება. სინამდვილეში, ყოველივე ამას რა მნიშვნელობა აქვს – არჩევნებს, სათათბიროს, კადეტებს და ამის მსგავს პოლიტიკურ მოვლენებს – ამხანაგი ბოლშევიკებისათვის, რომელთაც ჯიბეში შეუვალი რევოლუციური რეცეპტი უდევთ. ისინი მხოლოდ თავიანთ სქემას ხედავენ: აჯანყება, რევოლუციური მთავრობა და ა. შ., ყოველივე დანარჩენი – მაზაკვალისაგანაა. ესენი რევოლუციონერი რომანტიკოსები არიან. მათ წარმოდგენას რევოლუციაზე არავითარი საერთო არა აქვს ნამდვილ რევოლუციასთან“.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 443-446)

„დონორი ორგანიზაციების მეტი დაინტერესება იქნება საჭირო“

სოფელ გოგიეთში გარემოს დაცვის მსოფლიო დღე აღნიშნეს

ალიონი. 5 ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგიეთში ბუნების ცნობილი დამცველის **ჯანვერდი ცეცხლაძის** ეკომუზეუმში აღინიშნა.

მეოთხედი საუკუნეა სოფელ გოგიეთში, ჯანვერდი ცეხლაძის ეკომუზეუმს მუნიციპალიტეტის არაერთი სკოლა, ქართველი თუ უცხოელი ვიზიტორები სტუმრობენ. ახლახან აქ დაბა ნარუჯის და სოფელ ჯუმათის საჯარო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ.

„22-მაისს ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს, დაბა ნარუჯის საჯარო სკოლისმოსწავლეები ოზურგეთში, მაკვანეთის ეკოპარკს ეწვივნენ, სადაც ბიომრავალფეროვნების სიმდიდრეა, მასპინძელი ბატონი ჯანვერდ ცეცხლაძე იყო, რომელმაც მეგზურობა გაუწია მოსწავლეებს და საინტერესო ინფორმაციაც მიაწოდა ტყეპარკში გავრცელებულ მცენარეებზე სადაც იზრდება ცაცხვი, წიფელი, ნეკერჩხალი, ურთხელი და სხვა ასევე ტყეპარკში იზრდება წიწვოვანი და ბუჩქოვანი მცენარეები, მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს ეკომუზეუმი, უამრავი საინტერესო მასალა მოიპოვეს ბუნებაში, მიიღეს ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ. ეს დღე მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებათ, რადგან იმხიარულეს, გაეცინეთ, დატკბნენ ბუნების სილამაზით, გადაიღეს ბევრი ფოტო-სურათი, რომელსაც გამოიყენებენ კონკურსისათვის „ბიომრავალფეროვნება ჩემს ობიექტივში“.

ეკოსკოლის მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი მომავალში კვლავ ესტუმრონ ეკოპარკს.–წერს **დაბა ნარუჯის** ეკოსკოლის მოსწავლეები.

ამჯერად ეკომუზეუმს მათი მეგობარი ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება **„ქორბუდეს“** წევრები სტუმრობდნენ, რომელთაც ეკომუზეუმს 25 წლის ურთიერთობის ისტორია აქვს.

*– გურიის მთიანი ლანდშაფტის უნიკალური ბუნების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (**WWF**), შვედეთის საელჩოს ფინან-სური მხარდაჭერითა ახორციელებს პროექტს გურიის ეროვნული პარკის დაარსებისთვის. ვფიქრობ, გოგიეთის ეკომუზეუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი იქნება ეროვნული პარკის ვიზიტორებისთვის, ამისთვის კი დონორი ორგანიზაციების მეტი დაინტერესება იქნება საჭირო–გვითხრა* **ჯანვერდი ცეცხლაძემ.**

გარემოს დაცვის მსოფლიო დღე გოგიეთის ეკო მუზეუმში სპორტული ღონისძიებებით აღნიშნეს.

„ჩოხატაურის ეტალონი მოსწავლე“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე,** განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროს **თეა მამალაძესთან** და საფინანსო სამსახურის უფროს **მაია გოგოლაძესთან** ერთად 2022 წლის „ჩოხატაურის ეტალონი მოსწავლეს“, შუა ამაღლების საჯარო სკოლის X კლასელ **ლინდა სიხარულიძეს** შეხვდა.

ლინდას გამარჯვება მიულოცეს, ფულადი პრიზი გადასცეს და წარმატება უსურვეს შემდეგ ეტაპზე.

ინტელექტუალური კონკურსი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურისა და ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.

სპორტული კვირეული „ჯანსაღი თაობა“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №4 ბაღში (მენეჯერი მ.ღლონტი, მეთოდისტი ნ.გრძელიძე), ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით ჩატარდა სპორტული კვირეული „ჯანსაღი თაობა,“ რომელიც ბავშვთა დაცვის დღეს მიუძღვნეს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან კოგნიტურ და შემოქმედებით უნარებთან ერთად, მნიშვნელოვანია მსხვილი მოტორული უნარების განვითარება, სხეულის მრავალმხრივი გამოყენება თამაშისა და სწავლის პროცესში, რომელიც აუმჯობესებს კოორდინაციას, ეხმარება ბავშვს დაარეგულიროს და ისწავლოს კონტროლი, გაიჯანსაღოს სხეული, გახდეს თვითდაჯერებული. მოძრაობა მას ეხმარება ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარის გაზრდაში.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სხეულის მრავალმხრივი გამოყენებით ჩაერთვნენ თამაშის პროცესში, გამოამჟღავნეს ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარები. ფიზიკური ვარჯიშში, ესტაფეტები გარბენით, აღსაზრდელებმა კარგი მონაცემები გამოავლინეს.

კვირეულში აქტიურად ჩაერთო ყველა ასაკობრივი ჯგუფი: 2-3 წლიანების ჯგუფი „გვირილები“ (აღმზრდელები ნ. სირაძე, ა. სირაძე); 3-4 წლიანები – „მტრედები“(აღმზრდელები ნ. ქერქაძე, ნ. რუსიეშვილი); 4-5 წლიანები –„ცისარტყელა“(აღმზრდელები ირ. ქუტიძე, თ. ტოროტაძე); სასკოლო მზაობის ჯგუფი „ფუტკრები“ (აღმზრდელები ლ. ქავთარაძე, მ. შილაკაძე).

ჯგუფის კაპიტნებს გადაეცათ სამახსოვრო მედლები, ხოლო ჯგუფებს აქტიური მონაწილეობისათვის გადაეცათ სიგელები.

ნაილი გრძელიძე,
ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის მეთოდისტი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +17 +23	ჭექა ქუხილი +16 +23	წვიმა +15 +23	წვიმა +15 +22	წვიმა +16 +23	წვიმა +15+21	წვიმა +13 +21
13 ივნისი ორშაბათი	14 ივნისი სამშაბათი	15 ივნისი ოთხშაბათი	16 ივნისი ხუთშაბათი	17 ივნისი პარასკევი	18 ივნისი შაბათი	19 ივნისი კვირა